ლიკა ცეცხლაძე, ლელა ექიზაშვილი

კაუნას კოლეჯი, ლიეტუვა

13-17 აპრილს, კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლები: იურიდიული დეპარტამენტის დირექტორის ასისტენტი, ლიკა ცეცხლაძე და სტუდენტების ფინანსური მომსახურების ცენტრის ხელმძღვანელი, ლელა ექიზაშვილი იმყოფებოდნენ Erasmus+ ადმინისტრაციული პერსონალის მობილობის ფარგლებში, საერთაშორისო კვირეულის პროგრამაზე ლიეტუვაში, კაუნას კოლეჯში (Kauno Kolegija).

საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, რაც ქმნიდა მრავალფეროვან და ინტერდისციპლინურ გარემოს. საერთაშორისო კვირეულის ფარგლებში ჩატარდა მრავალფეროვანი ვორქშოპები და ინტერაქტიული სესიები. ჩატარდა კონფერენციები და მოხსენებები, სადაც განხილული იყო თანამედროვე გამოწვევები განათლების სფეროში, ინოვაციური სწავლების მეთოდები, გლობალიზაციის გავლენა და საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა. სესიები განსაკუთრებით საინტერესო და დინამიკური იყო, რაც მონაწილეებს აძლევდა შესაძლებლობას აქტიურად ჩართულიყვნენ დისკუსიებში, გაეზიარებინათ საკუთარი გამოცდილება და მიეღოთ ახალი ცოდნა. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო უნივერსიტეტის კამპუსებისა და ფაკულტეტების გაცნობას. მონაწილეებს მიეცათ შესაძლებლობა დეტალურად გასცნობოდნენ საგანმანათლებლო პროგრამებს, ინფრასტრუქტურასა და სწავლების სპეციფიკას. ეს პროცესი მნიშვნელოვანი იყო როგორც საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისთვის, ისე სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებების განსაზღვრისთვის.

საერთაშორისო კვირეულის მთავარი მიზანი იყო მონაწილეებს შორის პროფესიული და აკადემიური კავშირების გაღრმავება, იდეების გაცვლა. მობილობის პერიოდში მიღებული გამოცდილება და დამყარებული კონტაქტები მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის სამომავლო თანამშრომლობებისთვის, რაც ხელს შეუწყობს როგორც ინსტიტუციური განვითარების გაძლიერებას, ისე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ახალი შესაძლებლობების შექმნას.